(დოკუმენტი დამტკიცებულია :შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის 2023 წლის 01/13; 13. 01.2023 წ

მუხლი 9. კოლეჯში წესრიგის დაცვის მექანიზმები

9.1. წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვის შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები, შესაბამისი გამაფრთხილებელი აღნიშვნებით. ვიდეო კონტროლის შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე წვდომის უფლება აქვს:

ა) დირექტორს;

ბ) დაცვის თანამშრომელს/თანამშრომლებს;

გ) სამეურნეო სამსახურის მენეჯერს და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს;

დ) დირექტორის ნებართვით, სათანადო არგუმენტირების საფუძველზე, დაწესებულების პერსონალს ან ამ მიზნით მოწვეულ პირს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა პირებს.

9.2. კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს:

ა) საზოგადოებრივი წესრიგისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) პერსონალის/სტუდენტების/მსმენელების და სხვა ვიზიტორთა კოლეჯის ტერიტორიაზე/შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლს;

გ) კოლეჯის ქონების დასაცავად აუცილებელი ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებისთვის მიამრთვას;

დ) ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთა ევაკუაციის პროცესს.

9.3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

ა)შეასრულოს შრომის დაცვის, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) არ დაუშვას თამბაქოს მოხმარება დამსაქმებლის დახურულ შენობა-ნაგებობაში;

გ)არ გამოცხადდეს ან/და არ იმყოფებოდეს კოლეჯში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ან ნარკოტიკული თუ ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

დ)ლექციების პერიოდში იკრძალება ხმაური;

ე)დაუშვებელია კოლეჯის ტერიტორიაზე ადამიანის ღირსებისა და პატივის შემლახველი ნებისმიერი ქმედების ჩადენა;

ვ) დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ბულინგი;

ზ)დაუშვებელია ნებისმიერი სახის კონფლიქტის გაღვივება, წახალისება, მასში ჩაბმა.

9.4. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით რომელიც განთავსებულია სათანადო ადგილას. საგანგებო ვითარების დროს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან 112 - ზე დარეკვით გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვ.) და უზრუნველყონ შესაბამისი წესების დაცვით შენობაში მყოფების მიერ შენობის უსაფრთხოდ დატოვება.

9.5. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებით/შრომითი ხელშეკრულებით ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დებულებაში.

მუხლი 10. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

10.1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვილი პირველადი სამედიცინო

დახმარების სივრცე, საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ახორციელებს - მედდა;

10.2.კოლეჯი იღებს ვალდებულებას პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი საშუალებების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება;

10.3. მედდა უფლებამოსილია კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შეძენა: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ჰიგიენის ნივთები და სხვა, აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა, და გაცემა. აღრიცხოს სპეციალურ ჟურნალში გახარჯული, დარჩენილი და ჩამოწერილი საშუალებები. აწარმოოს პირველადი დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალი;

10.4. მედდა ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯში მყოფ პირებს. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება მედდის კომპეტენციის ფარგლებს, მედდის მიერ გამოიძახება სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები;

10.5.კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია მედდის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.